წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N 5

ქ. წალენჯიხა 2023 წლის 31 მარტი

2023 წლის 31 მარტს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი: ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ელენე ბერაია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი გელა სალია, საკრებულოს აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12^{00} სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 13^{00}საათზე

დღის წესრიგის დამტკიცებამდე, საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხსოვნას.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ .

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით, რომელიც ღია კენჭისყრით, დამტკიცდა ერთხმად (განკარგულება N6.)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხსენებელი:**კორნელი სალია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

მომხსენებელი: **თეა სარია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის უფროსი

3.,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: **თეა სარია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

4.მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი:**გელა სალია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: **ელენე ბერაია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

6.,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: **ელენე ბერაია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

7.,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: **ელენე ბერაია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

8.სხვადასხვა.

მოისმინეს: 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. აღნიშნა, რომ 2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა სულ 8 ცვლილება. ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 11,091.8 ათას ლარს, რომელიც წლის ბოლოსთვის დაზუსტდა და საბოლოოდ განისაზღვრა 25,799.9 ათასი ლარით. 2022 წლის ბიუჯეტის ნაშთმა 2022 წლის დასაწყისში შეადგინა 3,472.6 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ 21,382.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 21,789.8 ათასი ლარი.ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ 25,799.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 20,941.7 ათასი ლარი. ბიუჯეტის შემოსულობების ფაქტიურმა შესრულებამ 21,789.92 ათასი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ

შესრულებაზე მოდის 12,407.5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის 12,275.0 ათასი ლარის 101.07%-ია.2022 წლის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფინანსური დახმარების სახით მისაღები წლიური გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 9,660.3 ათას ლარს , ხოლო ფაქტიურად მიღებულმა მაჩვენებელმა შეადგინა 8,565.34 ათასი ლარი, რაც ფინანსური დახმარების სახით მისაღები შემოსავლების 88.66 %-ი შეადგინა.

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელს რამოდენიმე კითხვით მიმართა: სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებელი 1 მილიონი ლარიდან ათვისებულ იქნა მხოლოდ 160.000 ლარი, რეგ. ფონდი და სოციალური პაკეტი აუთვისებელი დარჩა, სოფლის პროგრამის 250 000 ლარიდან ათვისებულ იქნა 50 000 ლარი, სოციალურად დაუცველთა ბინით უზრუნველყოფის პროგრამა დღემდე ვერ ამუშავდა, 2022 წლის ბიუჯეტის 18% გადმოტანილ იქნა ნაშთის სახით, დავით ბელქანიას აზრით, ბიუჯეტში სულ რჩება აუთვისებელი თანხა და გაუგებარია რატო ვერ ასრულებს სამუშაოებს აღმასრულებელი სტრუქტურა, როცა მუნიციპალიტეტის მასშტაბით ამდენი საქმეა გასაკეთებელი, რატომ მოხდა თანხის დაკორეკტირება? ასევე მან აღნიშნა, რომ თებერვლის თვეში ფრაქციის სახელით გაიგზავნა წერილი მუნიციპალიტეტის მერიაში, რომელიც ეხებოდა საკასო შესრულებას პროექტების მიხედვით, თუმცა პასუხი დღემდე არ არის გაცემული. მანვე მოიყვანა ფაქტი, მოქალაქე გოგოხიას წერილთან დაკავშირებით, რომელიც თვეებია მერიაში გაიგზავნა, პასუხი მხოლოდ კონკრეტულ პირებთან სატელეფონო ზარების მერე განხორციელდა, ეს, დავით ბელქანიამ, მერიის უპასუხისმგებლობის ნათელ მაგალითად მიიჩნია.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბაჩანა ქანთარიამ აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებში და სოციალურ პაკეტებში თანხები არ უნდა რჩებოდეს და 100 %-ით უნდა სრულდებოდეს. მეტი მონდომებით უნდა იმუშაოს შესაბამისმა კომისიებმა. უნდა გამარტივდეს სოციალური პაკეტების კრიტერიუმები და მაქსიმალურად უნდა დაეხმაროს ადგილობრივი თვითმმართველობა ხალხს, მუნიციპალიტეტის მერს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში არსებული თანხა არ უნდა რჩებოდეს აუთვისებელი. მანვე თქვა, რომ ბიუჯეტის შესრულება უკეთესობისკენ რომ მიდის ნათლად ჩანს, თუმცა არსებული პრობლემები აუცილებლად გამოსასწორებელია და საერთოდ, ბიუჯეტის 82%-ით შესრულება არ არის კარგი მაჩვენებელი.

საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ აღნიშნა , რომ სოციალურად დაუცველთა ბინით უზრუნველყოფის პროგრამასთან დაკავშირებით მერიამ განაცხად, რომ ტენდერი 2ჯერ იყო გამოცხადებული , რაც ტყუილია და არცერთხელ არ გამოცხადებულა ტენდერი. ეს არის ხალხის შეცდომაში შეყვანა და მოტყუება. აქ საუბარი არ არის მხოლოდ ციფრებზე , საქმის კეთებაა მთავარი.

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა უპასუხა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს. მან აღნიშნა, რომ რეგ. ფონდიდან გამოყოფილი თანხების 98% იქნა ათვისებული. მუნიციპალიტეტს არ დაუკარგავს არანაირი თანხები და არც ყოფილა მთავრობის მიერ სუბსიდირებული თანხის შემცირება. უბრალოდ მოხდა პროექტების და არა თანხის დაკორექტირება. ზოგიერთი პროექტი დროსთან დაკავშირებით გაიწელა, პროექტიდან პროექტში იქნა თანხა გადანაწილებული , ჯამში თანხას არცერთი თეთრი არ დაკლებია. რაც შეეხება სოციალური პაკეტებს, საუბარი იმაზე, რომ ვერ მუშაობს, მცდარია. მან მოითხოვა, იმ მოქალაქის დასახელება, რომლის განცხადება არ დაკმაყოფილდა და რომელსაც არ დაეხმარა მერი. თუ მოქალაქეთა მომართვიანობა არ არის კონკრეტულ სოცილურ პაკეტთან დაკავშირებით, მერია ვერაფერს იზამს. წინა წელს აღებული ვალდებულებები შეიძლება მომდევნო წელზეც გადავიდეს, სწორედ აქედან გამომდინარე 2022 წლიდან გადმოტანილი ნაშთი გადანაწილებულ

იქნა რამოდენიმე მუხლზე და კონკრეტულად ერთ მუხლში არ განისაზღვრა.

მომხსენებელმა თეა სარიამ აღნიშნა, რომ 2021 წელს ბიუჯეტის შესრულება 72% იყო, 2022 წელს კი 81,2%. რაც შეეხება პრობლემებს, 2021 წელსაც გვქონდა და 2022-შიც, თუმცა ყველაფერი გამოსწორებადია.

საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის" თავმჯდომარემ გონერი კვარაცხელიამ ფრაქციის სახელით დადებითად შეაფასა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება და აღნიშნა, რომ რაც მერიამ ბიუჯეტის შესრულება წარმოგვიდგინა ციფრებით ნათლად ჩანს , რომ გასულ წელთან შედარებით, უკეთესობაა. არის პრობლემები რაც არის რეალურად გამოსასწორებელი, მკაცრად მიუდგეთ ამ საკითხს და ერთად, ერთმანეთის მხარდაჭერით, გამოვასწოროთ.

კენჭისყრის დაწყებამდე სხდომათა დარბაზი დატოვა თენგიზ ფიფიამ .

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 14 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია), წინააღმდეგი -6 დეპუტატი (მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია,ზაზა უბილავა) დაამტკიცა და დადებითად შეფასდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ, განკარგულება N 7.

მოისმინეს: 2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს მთავრობის N2475 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გამოყოფილი 208,360.00 ლარი აისახა ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების მუხლში, ასევე, საქართველოს მთავრობის N116 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" გამოყოფილი თანხის 130,000.0 ლარი აისახა ბიუჯეტის შემოსულობების ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების მუხლში. ამასთან, მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისად, ბიუჯეტის შემოსულობების მუხლი დაზუსტდა საქართველოს მთავრობის N147 განკარგულებით გამოყოფილი თანხის შესაბამისად. ჯამში, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 275.87 ათასი ლარით და განისაზღვრა 19,985.62 ათასი ლარის ოდენობით.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 14 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია),

წინააღმდეგი - 6 დეპუტატი (მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია,ზაზა უბილავა), მიღებულ იქნა ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N13.

მოისმინეს: 3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ. აღნიშნა, რომ მერიაში შემოსულია მოქალაქე კობა სანაიას განცხადება, რომელიც ითხოვდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ჯვარში არსებული მიწის ნაკვეთის (სადაც განთავსებულია საპირფარეშო ავარიულ მდგომარეობაში) შესყიდვას. აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით მერიამ მოახდინა აღნიშნული მიწის ნაკვეთის დაყოფის რეგისტრაცია და დაყოფის შედეგად მიღებული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი უნდა შეტანილ ინეს საპრივატიზებო ობიეტების ნუსხაში და სააუქციონო პირობად უნდა იქნეს ჩადებული მიმდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ორსექციანი საპირფარეშოს აშენება.მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქონების პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ აღნიშნა, რომ საკითხის განხილვისთვის აუცილებელია თან დაურთოთ პროექტი და ხარჯთააღრიცხვა, რასაც მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა უპასუხა, რომ პროექტს ითანხმებს მერი და საკრებულო მერს აძლევს თანხმობას გაასხვისოს უძრავი ქონება.ამასთანავე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მერია აცხადებს პირობებიან აუქციონს, სადაც იდება ამ ობიექტის არა მხოლოდ აშენება, არამედ მოვლა-პატრონობა.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის დაყებამდე საკრებულოს სხდომას შემოუერთდა თენგიზ ფიფია.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, თემურ ქარდავა,ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, დათა კუკავა, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია), წინააღმდეგი - 1 დეპუტატი (ბესიკ ფარცვანია) მიღებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ, განკარგულება N 8.

მოისმინეს: 4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე;

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ელენე ბერაიამ. მან საკრებულოს წევრებს გააცნო მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების

კონტროლის განხორციელების წესი და განმარტა , რომ წესის შემუშავება განპირობებულია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებების საფუძველზე და რომელიც უნდა ამოქმედდეს 2023 წლის 1 აპრილიდან.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, თემურ ქარდავა,ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, დათა კუკავა, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია, ბესიკ ფარცვანია), წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე დადგენილება N14.

მოისმინეს: 5. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ელენე ბერაიამ და აღნიშნა ,რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მერიის დებულებაში ცვლილება გამოიწვია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა , რომელიც ამოქმედდება 2023 წლის 1 აპრილიდან.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, თემურ ქარდავა,ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, დათა კუკავა, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია, ბესიკ ფარცვანია), წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულ იქნა ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N 15.

მოისმინეს: 6. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ელენე ბერაიამ და აღნიშნა ,რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მერიის დებულებაში ცვლილება გამოწვეულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებებით , რომელიც ამოქმედდება 2023 წლის 1 აპრილიდან.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ბაჩანა ქანთარია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, თემურ ქარდავა,ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, დათა კუკავა, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია, ბესიკ ფარცვანია), წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულ იქნა ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N16.

მოისმინეს: 7. სხვადასხვა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელ სალიამ საკრებულოს წევრებს ინფორმაციის სახით გააცნო მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების დამისამართების დაწყებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხზე საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსმა მაია ციმინტიამ განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო იწყებს დასახლებების ქუჩების სახელდებას და დამისამართებას. წერილის საფუძველზე, მნიშვნელოვანია გაირკვეს წალენჯიხისა და ჯვარის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებში შემავალი დასახლებების სტატუსი, რომელიც ქალაქების სტატუსის შენარჩუნების რისკებთან არის დაკავშირებული. ამასთან გასარკვევია, სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლებიც საკითხიც და ზოგადად, გასაკეთებელია უსახელო ქუჩების რომაული ციფრებით სახელდება . საბოლოო ჯამში, არც თუ ისე მცირე სამუშაოებია ჩასატარებელი, რომელშიც მერიამ და საკრებულომ ერთობლივად უნდა მიიღონ მონაწილეობა და კანონმდებლობის შესაბამისად გადაწყვიტონ ეს საკითხი.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია